# ცნობის ფურცელი

№ 2406 ოთხშაბათი, 11 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2406

**გაზეთის ღირს**: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვაკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

## სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

## სადიდმარხვო სეზონი

დასში შევიდნენ შემდეგი ახალი მომღერალნი:

მ. ა. დუბროვსკაია—დრამ. სოპრ., საიმპ. ოპერის არტისტი, ე. ფ. ბობროვა-პფეიფერი, კოლორატ. სოპრანო; მ. პ. ტურჩანინოვა—ლირ. სოპ., საიმპ. ოპ. არტისტი; ე. ვ. სტეფანოვიჩი—მეცო-სოპრანო; ამ. დავიდოვი—ტენორი, საიმპ. ოპ. არტ.; ა. ნ. კორჟევინი—ტენორი, ი. ვ. ტარტაკოვი—ბარიტონი, საიმპ. ოპ. არტ.; ო. ი. კამიონსკი—ბარიტონი; ა. მ. ბრაგინი—ბარიტონი; დ. ი. ბუხტოიაროვი—ბასი, საიმპერ. ოპერის არტისტი. საგასტროლო წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს ნ. ნ. ფიგნერი.

წარმოდგენილი იქნება: 16 თებერვალს—„კარმენ“, 17 თებერვალს—„ევგენი ონეგინი“, 18—„ფაუსტი“, 19—„გუგენოტი“, 20—„დემონი“, 21—„ლაკმე“, 22—„პიკოვაია დამა“. ბილეთები ყველა წარმოდგენისთვის იყიდება 10 თებერვლიდან. (4—2)

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ლ. ივ. ძამოევი.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

**ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

**ვ. სოკოლოვსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

**ქ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**ვ. ჭიჭინაძე**—კბილისა, 8—9 საათამდე.

**ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

**საღამოთი:**

**ვ. სოკოლოვსკი**—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. შლ.) **ტელეფონი** № 274

ქუთაისში

კბილის ექიმი

**მ. ი. ბეგიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

**ვ. დ. ლამბაშიძე**

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი№ 46.

კბილის ექიმი

**ნ. ტყეშელაშვილი**

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—16)

ქუთაისში

**ექიმი ს. ი. ბეგიშვილი**

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

**ი. პ. ახალშენიშვილი**

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

**ექიმი გ. დ. ნასარიძე**

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ოფ ისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—50)

ს ი ა

„ქ. მ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ წევრთა, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1903 წ. განმავლობაში.

| №№ | სახელი და გვარი | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 323 | მართა ი. ჩოლოყაშვილისა . . . | 6 | — |
| 324 | დიმიტრი ე. ჩოლოყაშვილი . . | 6 | — |
| 325 | მარიამ მ. სალარიძისა . . . . | 6 | — |
| 326 | გიორგი ნ. სალარიძე. . . . . | 6 | — |
| 327 | ნიკოლოზ ი. კურცხალია . . . . | 6 | — |
| 328 | გარსევან პ. კურდღელაშვილი . . | 6 | — |
| 329 | გიორგი გლურჯი. . . . . . | 6 | — |
| 330 | მღ. ესტატე მირიანაშვილი. . . | 6 | — |
| 331 | იასონ ფანიაშვილი . . . . . | 6 | — |
| 332 | ივანე წულუკიძე . . . . . . | 6 | — |
| 333 | ნიკოლოზ ვ. მესხი . . . . . | 3 | — |
|  |  | 63 | — |
|  | სულ 1903 წელს . . . . . . | 3079 | 35 |

(ამ ჯამში არაა შეტანილი ბათუმელ წევრთა მიერ გადახდილი საწევრო ფული).

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 **თებერვალი**

**პეტერბურგი.** იტყობინებიან პატრიოტულ მანიფესტაციების შესახებ: ვეტლუგიდან, პეტროპავლოვსკიდან, ვიატკიდან, პოლტავიდან და სედლეციდან. იტყობინებიან პატრიოტულ შემოწირულებათა შესახებ: ვიატკის საბჭოს შეუწირავს 1000 მ.; ვიატკის წითელ ჯვრის საზოგადოების განყოფილება ჰგზავნის სანიტარულ რაზმს 200 დაჭრილთათვის; ვიატკაშივე ხელის მოწერით შეუგროვებიათ 5000 მან.; ბლაგოვეშჩენსკში დაარსეს კომიტეტი ომში გაგზავნილ ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად; ვაჭარმა ალექსეევმა იქვე შეაგროვა 1100 მან.; კორჟაჩის საბჭოს შეუწირავს 500 მ.; ჩისტოპოლში ეკატერინე ვასილის ასულს ჩელიშევას შეუწირავს 10.000 მან., ჩერნიგოვში დაარსდა ქალთა კომიტეტი საცვალის დასამზადებლად; ჩერნიგოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მუხანოვმა შესწირა 5000 მ., სვეჩინამ—1000 მ., გრინევსკიმ—200 მან., სემენოვსკის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ 900 მ. და მორტონმა 500 მანეთი.

**ირკუტსკი.** გუბერნატორის მეუღლემ 2255 მან. შეაგროვა. —გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი წავიდა იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც სამხედრო მატარებელს უბედურება შეემთხვა.

**ხაბაროვსკი.** წითელ ჯვრის ადგილობრივ განყოფილების მზრუნველის ნინა ნიკოლოზის ასულის ლინევიჩის თაოსნობით გაიმართა სახელოსნო, სადაც ადგილობრივი მანდილოსნები სამხედრო საავადმყოფოებისათვის საცვალს ამზადებენ. შემოწირულებათა შეგროვება მარჯვედ მიდის.

**ბომბეი.** („რეიტ. სააგ.“) რუსის პოლკოვნიკი კორნილოვი კვეტას წავიდა.

ჰფიქრობენ, რომ სიბიდან ჩამანამდე რკინის გზის ორი ლიანდაგი იქნება გაკეთებული. უმთავრესი ტუნელი მუშკისთან ერთის თვის შემდეგ იქნება მზად.

**ტოკიო.** („რეიტ. სააგ.“) იაპონიის პოლიციის მმართველობას ცნობა მოუვიდა, რომ კუნძულ მიაკიზე, რომელიც ტოკიოდან სამხრეთით სძევს, 6 თებერვალს ნავით მივიდა თორმეტი რუსიო.

**ტიანძინი.** („ვოლფის სააგენტო“) მდინარე ლიაოხეზე ჯებირი დაინგრა; ბევრი დაიღუპა; მრავალი სოფელი წყალმა წალეკა.

**პეტერბურგი.** იტყობინებიან პატრიოტულ შემოწირულებათა შესახებ: ივანოვ-ვოზნესენსკში სდგება წითელ ჯვრის რაზმი; ნოვოუზენსკის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ გადასდეს ჯამაგირის 2%, გიმნაზიელებმა შეაგროვეს 99 მ. 50 კ.; როვნოს ქალთა გიმნაზიის მოწაფეთ შეაგროვეს 87 მან.; მლავაში მცხოვრებთ შეაგროვეს 1000 მან.; სიმბირის თავად-აზნაურობამ გადასდო თითო შაური დესეტინიდან, რაც 40.000 მანეთს შეადგენს, საერობო კრებამ გადასდო 60.000 მანეთი.

**მოსკოვი.** ივერიის საქრისტიანო დახმარების საზოგადოების კომიტეტმა მეორე სანიტარული რაზმი გაგზავნა; რაზმი შესდგება 32 მოწყალების დისაგან.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

10 **თებერვალი**

**ტოკიო.** კუნძულ მიაკოს მთავრობა დეპეშით იტყობინება, პარასკევს აქ ნაპირზე 12 რუსი გადმოვიდა. კუნძულთან გემი იდგა.

**ლონდონი.** გაზეთ „ტაიმს“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონია არ ეთანხმება საფრანგეთის მიერ საერთაშორისო უფლების განმარტებას, რომლითაც ჯიბუტი რუსეთის ესკადრის სამოქმედო ადგილად ხდება იაპონიის წინააღმდეგათ. არის ისეთი ცნობები, საიდანაცა სჩანს, რომ რუსეთის ჯარი კორეაში იალუს მეორე ნაპირას ომს არ აპირებს და მხოლოდ მზვერავ რაზმებს ჰგზავნის.—გაზეთების უმეტესობა პროტესტს აცხადებს იმ შიშის გამო, რომელიც კონტინენტის ბაზრებში გავრცელდა და ჰკიცხავს იმ ხმებს, ვითომ სანეიტრალო სახელმწიფოთა შორის საქმე გამწვავებულიყოს. ამასთანავე ინგლისის ხალხს მოუწოდებს, მთელი თქვენი ძალ-ღონე იხმარეთ, რომ ომი რუსეთსა და იაპონიას გარდა არსად არ გავრცელდესო. გაზეთ „დეილ-მეილ“-ს ტიანძინიდან დეპეშით ატყობინებენ: კვირას შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკმა, გენ.-ადიუტ. ალექსეევმა გამოსცა ჩინურ ენაზე მოწოდება, რომელიც მანჯურიაში ლიაოტუნგის ნახევარ კუნძულზე გაავრცელეს. ჩინელთა მიერ მიმართულ მოწოდებაში ნათქვამია, იაპონელები მოღალატესავით მოიქცნენ და ომის მიზეზიც ეს არისო. შემდეგ მცხოვრებთ მიჰმართავს და იწვევს, რკინის გზა დაიცვეთო და აგონებს, რომ რუსეთი ყოველთვის ჩინეთის მეგობარი იყოო. ამასთან განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს რკინის გზას სახელმწიფოში მიწათ-მოქმედებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. ეს მოწოდება პასუხია ჩინელთა და იაპონელთა მიერ გავრცელებულ პროკლამაციებისა, სადაც ნათქვამია, რომ ომი რუსეთმა გამოიწვია და რუსები ადგილობრივ მკვიდრთ ცუდად ექცევიან, იაპონია კი მანჯურიას მალე გაანთავისუფლებს რუსებისაგანაო. გაზეთი „დეილ ქრონიკლ“-ი სწერს, იაპონიის ფლოტის ერთი ნახევარი კორეაში მიმავალს იაპონიის ჯარს იცავს, მეორე ნახევარი-კი ვლადივოსტოკის ესკადრას ეძებსო. კანონერკა „მანჯურია“ ჯერ შანჰაიში იმყოფება; ამბობენ, ამ გემს საფრანგეთს მიჰყიდიანო. 27 იანვარს მომხდარ ბრძოლაში დაიღუპა იაპონიის ერთი ნაღმიანი ნავი. ზოგნი ამბობენ, ორი დაიღუპაო.

**რომი.** იტალიის მთავრობა ფორმალურად უარ-ჰყოფს ამ ცოტა ხანში გავრცელებულს ხმებს, ვითომ იტალია ამზადებდეს ფლოტსა და ჯარს, რომელიც იტალიიდან სხვა ქვეყნებში უნდა გაიგზავნოსო. მთავრობა აცხადებს, ეს ხმები გაავრცელეს ბირჟის სპეკულიანტებმა, რომელნიც სამართალში იქმნებიან მიცემულნიო.

**პეტერბურგი.** ჩემულპოსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ შანჰაიდან დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან: საფრანგეთისა, იტალიისა და ამერიკის კრეისერების უფროსებმა, როცა იაპონელებისაგან რეიდიდან გასვლის შესახებ წინადადება მიიღეს, გადასწყვიტეს, იაპონიის ადმირალს ურიუს ნეიტრალიტეტის დარღვევისთვის პროტესტი გამოვუცხადოთო. „ვარიაგ“-ი საერო ჰიმნის დაკვრით და „ურა“-ს ყვირილით ზღვაში გავიდა. იაპონელებმა ზღვაში გამოსულ „ვარიაგ“-ს ზარბაზნები დაუშინეს. ერთის საათის ბრძოლის შემდეგ „ვარიაგ“-ს ზარბაზნები დაუზიანეს და ძირი შეუნგრიეს; ამიტომ „ვარიაგ“-ი და „კორეეც“-ი ნავთსადგურში დაბრუნდნენ, იქ მეზღვაურები უცხოელთა გემებზე გადასხეს და შემდეგ ორივე გემი ჩასძირეს. რუსებს ყველა თანაგრძნობით მოეკიდა, გარდა ამერიკის ესკადრისა. რუს-მეზღვაურნი ჰაიგონში წაიყვანეს.

სინგაპურსა და კოლომბოში მდგარ ამერიკის გემებს ჩრდილოეთისაკენ წასვლა ებრძანაო.

**ბერლინი.** „ჰეროლდის სააგენტო“ იტყობინება, რომ იაპონიის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის ამხანაგი ტოკიოდან ამერიკაში წავიდა საგანგებო საფინანსო მინდობილობით.

**ლონდონი.** პალატაში გრაფ პერსიმ ხელახლა უარჰყო ის ხმა, ვითომ იაპონიის ესკადრამ ვეი-ჰაი-ვეით ისარგებლა პორტ-არტურზე თავ-დასხმის დროს. პერსის სიტყვით, არც ერთი იაპონიის გემი ვეი-ჰაი-ვეიში არ შესულა.

**პეკინი.** ჩინეთის მთავრობამ შეიმუშავა ნეიტრალიტეტის წესები, რომელიც შესდგება 35 მუხლისაგან. წესები გაეგზავნათ გენერალ-გუბერნატორებს, ციან-ძუნებს, გუბერნატორებს და უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს; ამ უკანასკნელებმა ეს წესები თავიანთ მთავრობათ უნდა წარუდგინონ.

**ვლადივოსტოკი.** საომარ დროის წესები 28 იანვარს გამოცხადდა.

როგორცა სჩანს, ვლადივოსტოკში მცხოვრებმა იაპონელებმა წინდაწინვე იცოდნენ ომის გამოცხადების ამბავი. რუსი მცხოვრებნი დამშვიდებით მიეგებნენ ომის გამოცხადებას. მთავრობის დაწესებულებანი ხაბაროვსკსა და ნიკოლსკში გადაიტანეს. ჩინელი მცხოვრებნი ჯერ აღელვებულნი იყვნენ, შემდეგ დაწყნარდნენ და მუშაობას დაუბრუნდნენ. ნავთ-სადგური და ზღვა ჯერ გაყინულია.

კორეის საზღვრებიდან იტყობინებიან, იაპონელებს თავისუფლად მიაქვთ სურსათ-სანოვაგე და საქონელი გენძანის საწყობში.

## ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 **თებერვალი**

**პეტერბურგი.** უწმინდესმა სინოდმა დაადგინა: ნება დაერთოთ წითელ ჯვრის საზოგადოების წევრთ ან რწმუნებულთ რუსეთ-იაპონიის ომის გათავებამდე რუსეთის იმპერიის ყველა ეკკლესიაში ყოველ-კვირა ჰკრიბონ შემოწირულებანი დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა სასარგებლოდ. მის იმპერატორებითი უდიდებულესობის სურვილისამებრ სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად კომიტეტის დაარსების გამო ფინანსთა სამინისტრომ დააწესა სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებასა, შესანახ კასსებსა, კანტორებსა და ხაზინებში შემოწირულებათა მიღება.

შორეულ-აღმოსავლეთიდან 9 თებერვალს ოფიციალური დეპეშა არ მოსულა.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. სანტინმა იკითხა, როგორ იქცეოდა, ან როგორ მოი-

ქცევა მთავრობა შორეულ-აღმოსავლეთში მყოფ იტალიის ქვეშევრდომთა ვაჭრობაში დასახმარებლად და სართაშორისო პოლიტიკაში იტალიის კანონიერ გავლენის დასაცველად. მინისტრმა ტიტონიმ განაცხადა, იტალია არავითარის განცხადებით არ დაარღვევს თავის სიტყვას ნეიტრალიტეტის შესახებაო. ამასთან დაუმატა, პროტესტს ვაცხადებ სანტანის ზოგიერთა სიტყვების გამო. ეს სიტყვები არ შეეფერება რუსეთთან არსებულ ურთიერთობას, „რომელიც სამეგობროა და რომლის დაცვას შემდეგისათვისაც ვცდილობთ". —რუსეთ-იაპონიის განხეთქილების გამო „მესაჯერო" ამბობს, იტალიას იაპონიასთან არავითარი გრძნობა და ერთობა არა აქვს და ამიტომ არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს იაპონიის გამარჯვებისაგან რისამე გამორჩენისა. მეორეს მხრით იტალიამ მხარი უნდა დაუჭიროს რუსეთისათვის საკეთილო ნეიტრალიტეტს, რადგან რუსეთი მოწინააღმდეგე იქნება სხვა სახელმწიფოთა სურვილისა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ბრძნულ და წინდახედულ პოლიტიკის მეოხებით იტალიას შეუძლიან იმედი იქონიოს რომ რუსეთი ნამდვილად მხარს დაუჭერსო.

**სუეცი.** („რეიტ. სააგ.") მოვიდნენ დობროვოლნი ფლოტის გემები „ორიოლ"-ი და „სმოლენსკ"-ი.

**ლონდონი.** („რეიტ. სააგ.") საზოგადოებათა პალატა. სტატს სეკრეტრის თანაშემწემ პერსიმ ერთხელ კიდევ მხნედ განაცხადა, რომ სიცრუვე არის ხმა, ვითომ იაპონელებმა ვეი-ჰაი-ვეი სამოქმედო ბაზისად გამოიყენესო.

**ბომბეი.** როგორც ისმის, ბომბეის მეციხოვნეთა ერთმა ნაწილმა, სხვათა შორის, ინგლისის ერთმა პოლკმა სამთო არტილერიის ბატარეიამ, ბრძანება მიიღეს, მზად იყვნენ ნუშკში სალაშქროდ წასასვლელად.

**ლიაო-იანი.** სამხრეთ მანჯურიაში მშვიდობიანობაა.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატა. სამინისტრო თხოულობს 8.824.500 პეზეტს სამხედრო საჭიროებისათვის და 950.000 ფლოტისათვის ნაპირების დასაცველად. მინისტრ-პრეზიდენტმა, როდესაც შეეკითხნენ, განაცხადა, სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომ ესპანიას ერთმა სახელმწიფომ რალაც ჩააგონაო. სხვა და სხვა ზომები ესპანიამ მხოლოდ ნეიტრალიტეტის დასაცველად მიიღოო.

**პარიზი.** კრეისერ „პასკალ"-ის ნაცვლად, რომელიც ამ ჟამად ინდო-ჩინეთში მიდის და თან რუსის მეზღვაურნი მიჰყავს „ვარიაგ"-ისა და „კორეეც"-იდან, ჩემულპოში გაგზავნილ იქმნა სადარაჯო გემი „კერსენტ"-ი, რომელიც ინდო-ჩინეთის წყალში იყო.

**მარსელი.** ქალაქის მერმა შანომ მიიღო დეპეშა ფეოდოსიის ქალაქის მოურავის დურანტესაგან; მერმა დეპეშითვე პასუხი გასცა და გამოუცხადა თანაგრძნობა და სურვილი რუსეთის სიდიადისა, რომლის ბედიც მჭიდროდ შეკავშირებულია საფრანგეთის ბედთან.

**პარიზი.** წირვის შემდეგ რუსეთის ელჩის მეუღლის თავმჯდომარეობით და ფრანგ საზოგადოების მანდილოსანთა მონაწილეობით შეუდგნენ სხვა-და-სხვა ნივთების დამზადებას დაჭრილ მეომართათვის. თანაგრძნობა რუსეთისადმი მთელ საფრანგეთში უფრო და უფრო თავს იჩენს.

**პეტერბურგი.** რადგან სამხედრო მინისტრი მანჯურიის ჯარის უფროსად დაინიშნა, ხელმწიფე იმპერატორმა დროებით სამხედრო სამინისტროს მართვა-გამგეობა მიანდო მთავარ-შტაბის უფროსს, გენერალ-ადიუტანტს სახაროვს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

10 თებერვალი

**ლონდონი.** „დეილი მეილ"-ის ცნობით, რუსეთის რაზმის 600 კაცი სიონ-ჩიონთან გამოჩნდა.

გონკონგიდან იტყობინებიან, რომ იქ ბრიტანიის ესკადრას აძლიერებენ; საფრანგეთის ესკადრა-კი საიგონის ახლო გროვდება. ჰფიქრობენ, რომ ეს ორივე გარემოება ბრიტანიისა და საფრანგეთის მთავრობათა შეთანხმების შედეგია.

„დეილი ქრონიკლ"-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან, რომ 15.000 იაპონელი, რომელნიც ჩემულპოში გადავიდა, ჯერჯერობით იქვე დგას. კანონერის გემის „მანჯურ"-ის მდგომარეობა გაუგებარია: მისი უფროსი [illegible], ბრძანება [illegible], ადგილიდან არ დაიძრეო, ჩინეთის მთავრობა-კი ეუბნება,—დაუყოვნებლივ წადი შანჰაიდანაო; ამასთანვე იაპონიის კონსულმა ამ საქმის გამო უცხოელ წარმომადგენლებს მიჰმართა. ბრიტანიის გემის „როზალ"-ის პატრონებს ცნობა მოუვიდათ, რომ ეს მათი გემი რუსებმა დაატყვევეს.

„დეილი ტელეგრაფ"-ს ატყობინებენ, რომ ამერიკის ადმირალი კუპერი ჯავშნიანის გემებით „ნიუ-ორლეან" და „უილმიგტონ"-ით შანჰაის მოვიდა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს მდინარე იალუს შესართავთან დემონსტრაციაში.

ტიანძინის ნავთ-სადგურში ყინული რამდენისამე დღის შემდეგ გადნება.

„სტანდარტ"-ი სწერს, რომ რუსეთის მოწინავე რაზმები, რომელთაც პიონ-იოანს მიაღწიეს, მალე შეჰხვდებიან იაპონელებსაო.

„ტაიმს"-ს ატყობინებენ, რომ ორშაბათს ჩემულპოს კიდევ გადავიდა იაპონიის მხედრობის ერთი კორპუსი. ჩამოსული ჯარები სეულს მიან. ჯარების წასვლა პიონ-იანში პეკინის გზით გამოიწვევს სამოქმედო ადგილის გამოცვლას: ჩემულპოდან, ალბად, ცინანპოში გადაიტანენ. ჰფიქრობენ, პიონ-იანი საკმაოდ დაიფარავს იაპონელებს რუსების უეცარ თავდასხმისაგან. მოელიან, რომ იაპონელები ენერგიულ ღონისძიებას მიჰმართვენ და ჩრდილოეთ კორეიაში სტრატეგიულ პოზიციებს დაიჭერენ.

**ტოკიო.** მთავრობის ოფიციალურ ცნობის თანახმად, რუსეთის ცხენოსანთა რაზმი, რამდენისამე ასი კაცისაგან შემდგარი, ანჩჟუს ახლო გამოჩნდა. არავითარი ცნობა არ არის ჯერ საქმეთა მდგომარეობის შესახებ ანჩჟუს ჩრდილოეთით, რადგან ტელეგრაფი გაფუჭებულია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**იაპონელების სამხედრო მოქმედება.** ჩიფუდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: იაპონელებმა კორეიაში ჯარის გადაყვანა დაასრულეს. სულ ასი ათასი კაცი გადმოიყვანეს და ორ რიგად დააყენეს. ერთი რიგი ჯარი მდ. იალუს სამხრეთით დგას, მეორე—სეულის ჩრდილოეთით. მოზამპოსა, ფუზანსა, გენზანსა და სეულში მეციხოვნე ჯარები ჩააყენეს. ტოკიოდან ამბავი მოვიდა, იაპონიის იმპერატორი კორეიაში ერთის იაპონელ პრინცის გაგზავნას აპირებს. კორეის იმპერატორი ამ პრინცს კორეის მეფის მოადგილედ აღიარებსო. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ მალე დიდი ბრძოლა მოხდება მდ. იალუზეო. („ბირჟ. ვედ.")

„დეილი ექსპრეს"-ი იუწყება: ჩემულპოში 4 თებერვლამდე იაპონელებმა 120 ათასი ჯარის-კაცი გაჰგზავნეს. ამათგან 80 ათასი კაცი მდინარე იალუს ახლო, ჩანგიუსა და კილიუს შუა დაბანაკდა, დანარჩენი კი სეულის ჩრდილოეთით დგას. მდ. იალუ გაყინულია („ნოვ.").

„ტაიმს"-ს ატყობინებენ ვეი-ჰაი-ვეიდან: 28 იანვარს დილით, იაპონელებმა მოზამპოს ახლო ჩინხაივენი დაიჭირეს. ჩინხაივენიში რუსეთს ქვანახშირის სადგური ჰქონდა გამართული („რ. ვ.").

„ლაფან"-ის სააგენტო იუწყება: იაპონიის ნაღმებს საგანგებოდ დანები აქვთ გაკეთებული. ამ დანებით ნაღმები ჯავშნიან გემებს ლითონის ბადეს უჭრიანო. („ნ. ვ.").

„ნოვოე ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: „4 თებერვალი. „ტაიმს"-ის კორესპონდენტმა ტოკიოდან ამნაირი დეპეშა გამოჰგზავნა: „ვურჩევ ინგლისის მთავრობას, თავისი წარმომადგენელი გამოჰგზავნოს იაპონიის საკვირველ გენიალურ სამხედრო მოქმედების სანახავად." ინგლისელი კორესპონდენტები საიდუმლოდ სწერენ, იაპონია რალაც საკვირველ საქმეს აპირებსო. ზოგიერთ გაზეთის კორესპონდენტი ირწმუნება, იაპონიამ ისე მშვენივრად დაამზადა თავისი ჯარი საომრად და ისე ხელ-და-ხელ გაგზავნა ბრძოლის ველზე, რომ ევროპის სახელმწიფოებიც კი ვერ მოახერხებდნენ ასე სწრაფად ჯარის დამზადებასაო. 300 ათასი ჯარის კაცი ბაირალ ქვეშა დგას და კორეიაში გასაგზავნადაა დამზადებული. ერთი დივიზია-კი ნიუ-ჩუანში (ინკოუში) გაიგზავნება. იაპონელებს თავიანთ მძლავრ ფლოტის შემწეობით სხვა-და-სხვა ადგილას გადაჰყავთ ჯარი და ამით რუსების ჯარს ბევრ საქმეს უჩენენ და ყველგან რაზმებს აგზავნინებენო. ინგლისის მთავრობამ, თითქო „ტაიმს"-ის რჩევით, შორეულ-აღმოსავლეთს იაპონიის სამხედრო მოქმედების სანახავად გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლსონი გაჰგზავნა".

**ადმირალ ტოგოს მოხსენება.** იაპონელ ადმირალ ტოგოს შემდეგი მოხსენება გაუგზავნია ტოკიოში პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე:

„24 იანვარს ჩვენი ფლოტი სასებოდან გავიდა და წინადვე შედგენილ პლანის თანახმად მოიქცა.

26 იანვარს, შუაღამისას, ჩვენმა მოწინავე ესკადრამ მტრის მოწინავე ესკადრაზე იერიში მიიტანა. მტრის ესკადრა, მომეტებულ ნაწილად ნავთ-სადგურს გარედ იდგა. „პოლტავა", „ასკოლდი" და ორი სხვა გემი, ეტყობა, ჩვენმა ნაღმებმა დააზიანეს.

27 იანვარს, შუადღის დროს, ჩვენი ფლოტი პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალს მიუახლოვდა და 40 წამის განმავლობაში მტერს ზარბაზნები დაუშინა და, როგორც მგონია, დიდად დააზიანა. მგონია, რომ მტერი მეტად დაიბნა და აირია. ნაშუადღევს 1 საათზე მტერმა სროლას თავი გაანება და ნავთ-სადგურისაკენ დაიხია.

იაპონიის ფლოტი კი სუმბუქად დაზიანდა, ყველა გემს წინანდებურად ბრძოლა შეუძლიან. ჩვენი ზარალი: 4 კაცი მოგვიკლეს, 54 დაგვიჭრეს. პრინცები უვნებლად გადარჩნენ. (ბრძოლის დროს გემებზე იმპერატორის გვარეულობის პრინცები ყოფილან).

აფიცრები და ჯარის-კაცები ისე დინჯად იქცეოდნენ, თითქო უბრალო აღლუმზე არიანო.

დღეს დილით დიდის ქარის გამო, გემების უფროსებისაგან დაწვრილებითი მოხსენება არ მომსვლია. ამიტომ ამაზე მეტს ვერას გატყობინებთ.

10 თებერვალი (ახ. სტ.), ზღვაში. ადმირალი ტოგო". („ნოვ. ვრ.")

**პორტ-არტურში.** „ნიუ-იორკ-ჰერალდ"-ს ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ: „პორტ-არტურის მოხელეებმა არსენალის დასაცველად სასტიკი ღონისძიება მიიღეს. დალნიში მეციხოვნე ჯარი გააძლიერეს. პორტ-არტურში ოფიციალურად გამოაცხადეს, ყველა ჩინელი, რომელიც კი ვისიმე გაძარცვას გაჰბედავს, მაშინვე თოფით დაიხვრიტებაო. ჩინელები პორტ-არტურში ტელეგრაფის მავთულის გაწყვეტას ეცადნენ, მაგრამ ვერას გახდნენ". („ნოვ.")

**იაპონიაში.** 11 თებერვალს (ახალის სტილით, ჩვენებურად 29 იანვარს) იაპონიამ თავის იმპერატორის ტახტზე ასვლის დღე იდღესასწაულა. იაპონიის ელჩს ლონდონში ამ დღესასწაულის თაობაზე შემდეგი დეპეშა მიუღია: „11 თებერვალს (ახ. სტ.) იმპერატორმა სასახლეში დიდი სადილი გამართა და სადიპლომატო კორპუსის წარმომადგენლები და იაპონიის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები მიიწვია. იმპერატორმა სადილის დროს შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „დიდად ვსწუხვარ, რომ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობა შევწყვიტეთ, მაგრამ ამავე დროს დიდის სიამოვნებით შემიძლიან გამოვაცხადო, რომ ჩვენი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, რომლების წარმომადგენლებს აქა ვხედავთ, დღე და დღე უფრო მეგობრული ხდება. ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ ეს ურთიერთობა უფრო და უფრო გულწრფელი და მეგობრული გახდეს. ვსვამ ამ სახელმწიფოთა მონარქების და მეთაურების სადღეგრძელოს". სადიპლომატო კორპუსის უხუცესმა წარმომადგენელმა, ბელგიის ელჩმა შემდეგი უპასუხა: „ჩვენის სახელმწიფოების მონარქებსა და მეთაურებს გულწრფელად ჰსურთ, რომ ეხლანდელი ომი დიდხანს არ გაგრძელდეს და შორეულ-აღმოსავლეთში, რაც შეიძლება, მალე მშვიდობიანობა დამყარდეს" („პეტ. ვ.").

**იაპონელების სამხედრო ტაქტიკა.** რუსულ გაზ. „ნოვოე ვრემია"-ში ბ-ნი ელეცი სწერს: „იაპონელებმა უცებ აზიურად დაიწყეს ომი და ხელად დაგვანახვეს, რომ რუსეთს მამაც, სერიოზულ მოპირდაპირესთან ექნება საქმე... ამ მოკლე ხანში იაპონელებთან ხმელეთზეც მოგვიხდება ბრძოლა, ამიტომ კარგი იქნება გავიგოთ ვისთან გვაქვს საქმე, წინადვე გავიცნოთ იმათი ავი და კარგი და გავიხსენოთ, რა ტაქტიკას მისდევდნენ იაპონელები უკანასკნელ ომების დროს. იაპონელები ყოველთვის კარგად, დაწვრილებით შედგენილ სამხედრო პლანის თანახმად მოქმედებენ. ყოველი ამათი მოქმედება მტრის მოპირდაპირის განზრახვასა, ძალასა და ბრძოლის ადგილ-მდებარეობას შეეფერება.

იაპონელები ჯერ საკმაო ჯარს შეჰკრებენ ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ დიდ ბრძოლას. ომის დროს იაპონიის ჯარი ასეთ წესს მისდევს: მტერზე ჯარის რაზმები ცალ-ცალკე მიდიან, იერიშის მიტანის დროს კი ერთმანეთს უერთდებიან. ლაშქრობის დროს რაზმები ერთმანეთთან კავშირს არას დროს არა სწყვეტენ; ჯარის თითოეული კორპუსიც ყველა დიდის თანხმობით მოქმედებს. ამ თანხმობით მოქმედების მაგალითი იაპონელებმა ბევრი გვიჩვენეს ჩინეთთან ომის დროს, 1894—1895 წ.წ. მეტადრე პიონგიანგთანა და ნიუ ჩუანთან (ინკოუსთან) ბრძოლის დროს.

ჩინეთთან ომის დროს ყოველი თითოეული კორპუსი და პოლკიც დიდის შეგნებით და მოხერხებით იქცეოდა ბრძოლის დროს. ბრიგადებისა, პოლკებისა, ბატალიონების უფროსებმა ყველამ კარგად იცოდა, საით წასულიყო და როგორ მოქცეულიყო, ყველამ წინადვე იცოდა ბრძოლის პლანი, ბრძოლის დროს კი ყველა თავისუფლად, როგორც საკუთარი გონება გაუჭრიდა, ისე იქცეოდა. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ბრძოლის დროს იაპონელი უფროსები აქეთ-იქით ადიუტანტებს არა ჰგზავნიდნენ ბრძანების გადასაცემად, ან მისაღებად. ყველამ თავისი საქმე კარგად იცოდა და ცხენების ქენება საჭირო აღარ იყო.

1894 წელს, როცა იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, ბრძოლის დროს არც სამხედრო სიგნალი ისმოდა, არც ყვირილი; უფროსები ჯარის-კაცებს მარტო სასტვენებით აძლევდნენ ბრძანებას. იაპონელები ბრძოლის დროს მეტად ფიცხად, მარდად მოქმედებენ, ერთ ადგილას დგომა, უსაქმოდ ყოფნა საშინლად ეჯავრებათ. იაპონიის ქვეითა ჯარი ბრძოლას ყოველთვის ხიშტით ათავებდა ხოლმე, თუმცა კი არც თოფის სროლას ივიწყებდ მართალია ხიშტი უფრო უყვართ, მაგრამ იაპონელებმა თოფის სროლაც მეტად მარჯვე იციან. მთელი ბატალიონები და როტე ისე ერთბაშად სცლიან თოფსა, თითქოს ერთი კაცი ისვრისო. ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონიის ჯარი ბრძოლის დროს სიდინჯე და გულის-ყურს არას დროს არ ჰკარგავს.

1894 წლის ომის დროს იაპონელები მომეტებულად ჯერ წინიდან, ფრონტიდან, მიდიოდნენ მტერზე, თოფს დაუშენდნენ და მერე-კი ფთიდანა და უკანიდან უვლიდნენ და ბრძოლას იერიშით ათავებდნენ. 1900—1901 წლების ომის დროს იაპონელები სულ აღარად აგდებდნენ ჩინელებს და პირდაპირ წინიდან, ფრონტიდან, ეცემოდნენ. ამიტომ ამ ომის დროს იაპონიის ჯარს შედარებით დიდი ზარალი მოსდიოდა ხოლმე. ორსავ ომის დროს იაპონელებს ღამით ჩუმად, სიარული და განთიადისას უცებ იერიშის მიტანა უყვარდათ და ეხერხებოდათ კიდევაც. სამხედრო დარაჯთა და მზვერავთა სამსახურიც კარგად აქვთ მოწყობილი იაპონელებს. ამ საქმისთვის ქვეითა ჯარსაც ხმარობენ, ცხენოსანსაც.

ცხენოსანი ჯარი იაპონელებს ცოტა ჰყავთ და არც თუ ცხენები უვარგათ, იაპონიის ცხენოსანი ჯარი არც იერიშის მიტანასა, და ჩვეული, არც დამარცხებულ მტრის დევნას, მაგრამ სადარაჯოდა და მტრის დასაზვერად მეტად კარგია და ამ საქმეს ყოველთვის ჩინებულად ასრულებდა.

იაპონიის არტილერია ახალის სისტემის ზარბაზნებითაა შეიარაღებული. იაპონელი არტილერისტები მეტად მარჯვედ ისვრიან ყუმბარებს. 1894 წლის ომის დროს არტილერიას იაპონელები მომეტებულ ნაწილად მოწინავე რაზმებს აყოლებდნენ. ბრძოლის დროს არტილერია ჯერ მტრის არტილერიას დაუშენდა ხოლმე ყუმბარასა, და როცა გააჩუმებდა, მაშინ მტრის ქვეითა ჯარს უშ და ზარბაზანს და ამით ქვეითა ჯ იერიშის მიტანას უადვილებდა.

იაპონიის საპიორებმაც დაამტკიცეს, რომ თავიანთი საქმე მშვენივრად აქვთ შესწავლილი. უკანასკნელ ორის ომის დროს იაპონელ საპიორები მომეტებულ ნაწილად ტელეგრაფსა და ტელეფონებსა ჰმართავდნენ, ჯარებისათვის ბინასა და გზებს აშენებდნენ და სხვ. ამ ომის დროს იაპონელებს საპი

ველი სიმაგრეები, სანგრები და თხრილები თითქმის არ უკეთებიათ, მაგრამ, ეჭვი არაა, რომ ეს საქმეც ჩინებულად იციან. ომის შემდეგ იაპონიაში საპიორებისა და ქვევითა ჯარისაგან გაკეთებული სანგრები და თხრილები ვნახე და სწორედ გავკვირდი, ისე სუფთად, იდეალურად და თანამედროვე ფორტიფიკაციის თანახმად იყო ყველაფერი შესრულებული.

სასანიტარო ნაწილიც მშვენივრად იყო მოწყობილი იაპონიის ჯარში. მცოდნე ექიმები საკმაოდ ჰყავნდათ და საავადმყოფოებსაც ყველაფერი, რაც კი საჭიროა დაჭრილებისა და ავადმყოფთათვის, ჰარბად ჰქონდათ. ხსენებულ ომების დროს იაპონელი ჯარის-კაცი ბევრი არ დაჭრილა, მაგრამ ავად კი ბევრი გახდა. სნეულებს შინ ისტუმრებდნენ და იმათ მაგიერ ახალი საღი ჯარის-კაცები მოჰყავდათ. ყოველ პოლკში ოთხი ექიმი ჰყავთ. ეს ექიმები მოვალენი არიან, ბრძოლის დროსვე დაუყოვნებლივ დახმარება აღმოუჩინონ დაჭრილებს და შემდეგ ჭრილობის შესახვევად დანიშნულ ადგილებზე გაგზავნონ. ამ ადგილებში საუკეთესო სადოსტაქრო ინსტრუმენტები და მშვენიერი საჭმელ-სასმელი აქვთ დამზადებული იაპონელებს“.

**რუსეთი და ბოლგარია.** დეპეშებიდან ვიცით, რომ სლავიანები რუსეთს გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ, რუსეთის გამარჯვებისთვის პარაკლისებს იხდიან და სხვ. მაგრამ ყველა სლავიანი ასეთის თვალით როდი უყურებს თურმე საქმეს, მაგალითად ბოლგარიაში მთავრობის მომხრე პარტია, სტამბულოვისტები, უფრო იაპონიას თანაუგრძნობენ. რუსული გაზ. „პეტერბ. ვედომოსტი“ სწერს: „ინგლისელების მაგალითით, სტამბულოვისტები იაპონელების ვერაგულ მოქმედებას ამართლებენ. სტამბულოვისტების გაზ. „ნოვ ვეკ“-ი ამბობს: „იაპონიის ადგილას ყველა სახელმწიფო, ვისაც კი თავისი ინტერესები და უფლება კარგად ესმის, სწორედ ასე მოიქცეოდა, როგორც „ამომავალ მზის ქვეყანა“ მოიქცაო“. ბოლოს გაზეთი ურჩევს ბოლგარებს: „ჩვენ დინჯად უნდა ვუცქიროთ იმის ამბებს, თორემ ყველანი იტყვიან, ბოლგარია სხვისა სათამაშო ბურთი ყოფილაო“. („პეტ. ვედ.“)

# ახალი ამბავი

◆ **ბათუმი.** ბათუმის ქალაქის საბჭომ 9 თებერვალს გადასწყვიტა გაუგზავნოს წითელის ჯვრის კომიტეტს ოთხი ათასი მანეთი (4000), ხოლო გემთა ამშენებელ საგანგებო კომიტეტს ექვსი ათასი (6000) მანეთი.

◆ **ქალთა ტანისამოსების** მკერავ ამქარს ტფილისში ამას წინად კრება ჰქონდა. კრებამ დაადგინა: 1. ამ ხანად გადაიდოს ამქრის საზოგადო თანხიდან 50 მან. ომში დაჭრილთა და მოკლულთა სახლობების შემწეობის აღმოსაჩენად და 2. აიღოს ნებართვა და ხელის მოწერა გამართოს ამქარს შორის შემოწირულების შესაკრებად. მოკრებილი ფულიც ამავე საქმეს მოხმარდება.

◆ როგორც „ტიფლ. ლისტ.“-ი გადმოგვცემს, **ქართველ თავად-აზნაურთა ახალგაზრდობას** განუზრახავს თურმე შეადგინოს თავისუფალი მებრძოლთა რაზმი (100 კაცისაგან) და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს.

◆ 14 თებერვალს დანიშნულია სხდომა ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს **ქალაქის მიწების** ზედამხედაობა. ეს სხდომა იმითია საყურადღებო, რომ კომისიამ ამ დღეს უნდა განიხილოს საყურადღებო მოხსენება იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებასთან განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც დაევალება ქალაქის ყველა უძრავ ქონების და მიწის მართვა-გამგეობა, შედგენა ინვენტარისა და გამორკვევა და გამოწყობა ყველა იმ საბუთებისა, რომლის ძალითაც ქალაქი საკუთრობს ამა თუ იმ უძრავ ქონებას. უნდა შესდგეს განსაკუთრებული შტატი იურისკონსულტისა, მიწის მზომელისა და სხვა მოხელეთაგან.

◆ **ოზურგეთის მაზრის** უფროსის თანაშემწე წერეთელი დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად შორაპნის მაზრაში.

◆ **ქუთაისის პოლიცმეისტერი** ლისოვსკი დაინიშნა მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლად შარურო-დარალაგეზის მაზრაში.

◆ კავკასიის **მთავარ-მართებლის კანცელარიის** ბრძანებით, ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ გუშინ მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას ცნობები იმის შესახებ, თუ როდის იქმნა შემოღებული ტფილისში 1870 წლის საქალაქო დებულება და თვითმმართველობის არქიტექტორები ითვლებიან თუ არა სახელმწიფო სამსახურში.

◆ როგორც შევიტყეთ, პეშეს ფირმის წარმომადგენელი ტფილისში ჩამოვა მომავალ მარტში და ქალაქის გამგეობის ნებართვით ავჭალაში შეუდგება წყლის მილისათვის **ახალ ფილტრების** გამართვას.

◆ მანგლისსა და ერწოში ამ ბოლო დროს მეტად გაძლიერებულა ყვავილი. უკვე გაიგზავნა მაზრის ექიმი.

◆ 22 თებერვლისთვის დანიშნულია კრება სატეხნიკო სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს წარსულის წლის ანგარიში, ამა წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, უნდა ამოირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე, ორი წევრი და ორი კანდიდატი და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრნი.

◆ ქალაქის მიწების გამგე კომისიამ გადასწყვიტა სთხოვოს ქალაქის გამგეობას, გადასდოს ფული იმის გამოსარკვევად, თუ კერძო კაცებს ქალაქის რა მიწები აქვთ მითვისებული და შემდეგ საჩივრები აღძრას

# ტფილისის ქალაქის საბჭო

9 თებერვალი

ქალაქის მოურავის ავადმყოფობისა გამო, თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

ქალაქის ხორცის დუქნების გამგესა და ნიხრის დამწესებელ კომისიათა შეერთებულ სხდომას საჭიროდ დაუნახავს ხორცის ხარისხებად დაყოფა ამას იქით სხვა ნაირად მოხდეს, რადგან ეხლანდელის წესით ხარისხებად დაყოფით პირველის ხარისხის ხორცი ბევრი რჩება ქალაქის დუქნებში გაუყიდველადაო. კომისიებს ისე მოუსაზრებიათ, რომ პირველ ხარისხიდან ზოგი მეორე ხარისხში რომ გადმოვიდეს და ამ ხარისხის ხორცი 8 კაპეიკის მაგიერ 9 კაპ. და პირველ ხარისხისა 11 კაპ. მაგიერ ორ შაურად გავყიდოთ, უკეთესი და უფრო ხელ-საყრელი იქნებაო.

ამ საგანზე კამათის დროს ხმოსნებმა ბევრი საყვედური გამოუცხადა გამგეობას, რომ ქალაქის ყასბებს ძალა ვერ დაატანეთ და ხორცი ხარისხებადა და დაწესებულის ნიხრით გაყიდვა ვერ მოახერხებინეთო.

საბჭომ დაამტკიცა შეერთებულ კომისიების მოხსენება და თანახმად ამისა პირველ ხარისხის ხორცი ამას იქით გაიყიდება ორ შაურად, მეორესი—9 კაპ. და მესამე ხარისხის ფასი ისევ 6 კაპ დარჩება.

ხმ. რ. ა. იოანესიანმა განცხადება მისცა საბჭოს: ქალაქის მოვალეობას, სხვათა შორის, ისიც შეადგენს, რომ ღარიბთათვისაც იზრუნოს. არა თუ ზნეობრივად, საქალაქო დებულების ძალითაც მოვალეა ქალაქი ამ საქმეს უწინამძღვროს. ევროპაში დიდი ხანია და ამ ბოლო დროს მოსკოვშიაც შემოიღეს ეგრედ წოდებული „უბნის მზრუნველების“ თანამდებობა. ქალაქის საბჭომ უნდა აირჩიოს რამდენიმე მზრუნველი და ქალაქის რომელიმე უბანი ჩააბაროს, რომ იქაურ ღარიბებზე მზრუნველობა გასწიოსო. ამიტომ ვსთხოვ საბჭოს, ჯერ იმის კომისია აირჩიოს, რომ ეს საგანი სავსებით შეისწავლოს და ის მასალაც გამოიყენოს, რომელიც ამ ჟამად გამგეობის საქმეებშია დაცული და მერე საბოლაოდ საბჭოს მოახსენოს მზრუნველების ასარჩევად და საქმის განსახორციელებლადაო.

საბჭომ ამ საქმისათვის ხუთი კაცი აირჩია კომისიაში: 1) მ. ნ. ვესელოვზოროვი (29—2), 2) გ. ზ. თამამშევი (27—4), 3) ს. დ. ლისიციანი (24—7), 4) ხმ. ა. ი. ხატისოვი (22—9) და 5) თვითონ განმცხადებელი რ. ა. იოანესიანი (21—10).

ცხენების გადასახადი წინა წლებისა ბევრი დარჩენილი ჰქონდა ქალაქს გადაუხდელად. იმდენად არეულ-დარეული იყო ეს საქმე, რომ საბჭომ განსაკუთრებული კომისია აირჩია შარშან გამოსაკვლევად. ამ კომისიას დაწვრილებით შეუსწავლია და აღმოუჩენია, რომ ბევრ შემთხვევაში შეცდომით გაუწერია ქალაქს ცხენზე გადასახადი, ბევრიც ისეთია, რომ ამ ჟამად შეუძლებელია ფულის აღება. ცხენებზე დაწესებული გადასახადები ანგარიშით დარჩენილია დღემდე 38 ათასი მანეთი გადაუხდელი; აქედან 817 ცხენისა, ე. ი. 10.892 მანეთი თურმე სრულიად უიმედოთ უნდა ჩაითვალოს, რადგან 1894 წლიდან ირიცხება და გადამხდელები ვერ უპოვნია ქალაქს.

საბჭომ დაამტკიცა კომისიის მოხსენება.

ქალაქის ლომბარდს ახლა უანგარიშნია ზოგი საჭირო ხარჯები, რომელიც ამ წელიწადში დასჭირდებათ—სადგომის შეკეთება, დაზღვევა, თუ სხვა. სულ უანგარიშნია 576 მანეთი და სამი აბაზი; სთხოვდა საბჭოს ამ ფულის დახარჯვის ნება მოგვეცითო. ბევრმა უსაყვედურა, რაღა ეხლა მოაგონდა ლომბარდის გამგეს ამ ხარჯების საჭიროება, რატომ ხარჯთ-აღრიცხვის დროს არ წარმოადგინა თავისი საჭიროებაო, მაგრამ საბჭომ მაინც დაამტკიცა გამგეობის მოხსენება—ნება მისცა ამ ფულის დახარჯვისა.

შტაბს-კაპიტანს მურაშკოს სახალხო თეატრი აქვს ავლაბარში გამართული. ამ თეატრთან საჩაიეც აქვს გამართული, სადაც საჭმელების გაყიდვაც განუზრახავს, მაგრამ ამისთანა დაწესებულებებზე გადასახადებია დანიშნული და ბ-ნმა მურაშკომ სთხოვა ქალაქს, ამ გადასახადებისაგან გაანთავისუფლეთ ჩემ თეატრთან გამართული საჩაიეო. საბჭომ შეიწყნარა ეს სათხოვარი.

ალექსანდრეს ბაღში ვინმე ჰებგარტის ქვრივს ქალაქის ადგილი ჰქონდა აღებული, სადაც გამართული ჰქონდა ფარდული და აქ თოფს ისროდნენ ხოლმე მიზანში. ეს ადგილი ეხლა ქალაქმა სხვა საჭიროებას უნდა მოახმაროს—პუშკინის სახელობაზე საქალაქო ბიბლიოთეკა უნდა გაჰმართოს. ქვრივი ჰებგარტისა სთხოვდა ქალაქს: ჩემზე ქალაქის ფულია დარჩენილი; ფარდულის მოშლით ზარალში ჩავვარდი სწორედ იმ დროს, როცა ვაი-ვაგლახით შვილი სტუდენტობამდე მივიყვანე და ნივთიერად შევიწროებული დავრჩიო.

საბჭომ შეიწყნარა სათხოვარი და ამ ქვრივზე დარჩენილი 9 თუმანი აპატია.

ოქრომჭედლებში სასტუმრო „იალტა“-ა. ამ სასტუმროს პატრონი მიქაელიანცი სთხოვდა ქალაქს: ჩემზე 383 მანეთია გაწერილი და შემიმცირეთო. თანახმად გამგეობის მოხსენებისა, საბჭომ უარი უთხრა მიქაელიანცს.

სამხედრო დაწესებულებას ცალკე კომისია ჰყავს, რომელიც სამხედრო უწყების სააღმშენებლო საქმეებს განაგებს. ეს კომისია სთხოვდა ქალაქს, ნება მოგვეცით მტკვრის რიყეზე ნავთლუღში ქვიშა მუქთად ავიღოთ და მნაცაკანის ხიდზე ჩვენი ურმები მუქთად გავატაროთო. საბჭომ უარჰყო ეს სათხოვარი.

სომეხ-გრიგორიანთა ნერსესიან სემინარიის სამზრუნველო სთხოვდა ქალაქს: დამფასებლებმა ნამდვილზე მეტად შეაფასეს ჩვენი სახლი ბაზარშიო და ამიტომ ქალაქის გადასახადსაც მეტს ვიხდითო. სამზრუნველო სთხოვდა ხელ-ახლა სახლის შეფასებას და გადასახადის შემცირებას, მაგრამ საბჭომ უარი უთხრა ამაზე.

ავლაბარში მცხოვრები სერგო ნუნუფაროვი სთხოვდა ქალაქს: სამუშაო საქონელზე უკანონოდ გამაწერეს ქალაქის მოხელეებმა გადასახადი, რადგან ჩემი საქონელი ქალაქში არ მუშაობსო; გთხოვთ ამ გზით ჩემზე დარჩენილი გადასახადი 157 მანეთი მაპატიოთო. საბჭომ უარ-ჰყო ეს სათხოვარი.

# რუსეთის ქრონიკა

◆ სახელმწიფო ბანკის ეკატერინოსლავის განყოფილების უფროსი აცხადებს: „ზოგიერთნი ბოროტის აზრით ხალხში ხმას ავრცელებენ, ვითომ ომის გამო შესანახ კასებიდან პატრონებს ფულს აღარ უბრუნებენო. ამ ხმას გამავრცელებელნი ხალხს ურჩევენ, კასიდან ფული გამოიტანეთ და ჩვენ ჩაგვაბარეთ, რისთვისაც ხელწერილებს მოგცემთო. სახელმწიფო ბანკის ეკატერინოსლავის განყოფილება აცხადებს, რომ ამნაირი ხმები ტყუილია და შემნახველი კასა მსურველთ არა თუ ფულს უკანვე უბრუნებს, არამედ ფულის სარგებელსაც იმდენსავეს აძლევს, რამდენიც აქამდე იყო („ვესტ. იუგა.“)

◆ ამას წინად ვარშავაში ჭკუიდან შეიშალა გრაფი დომბსკი. დომბსკიმ „ზოლოტოი“ ქუჩაზე ჯერ მეეზოვე დასჭრა, შემდეგ თავის ოთახში ჩაიკეტა და მის შესაპყრობად მოსულ პოლიციას ემუქრებოდა, მომშორდით, თორემ დაგხოცავთო. პოლიციამ თავი დაანება, იქნება დამშვიდდესო. დომბსკი მართლაც დამშვიდდა, აივანზე გამოვიდა და ქუჩაში შეკრებილ ხალხს რაღაც სურათსა და სარკეს აჩვენებდა, მაგრამ ღამის 12 საათზე ქუჩაში შეკრებილ ქალების ხროვამ ისევ გააგიჟა. ქალები უყვიროდნენ და ლანძღავდნენ „მკვლელს“. დომბსკი აივანზე გამოვარდა და ყველას თოფებისა და რევოლვერების სროლა დაუწყო. ხალხი გაიფანტა, მაგრამ დომბსკი გამვლელ-გამომვლელს მაინც ესროდა და მალე 24 კაცი დასჭრა და 2 მოჰკლა; დაჭრილთა შორის ბოქაული კულიკოვი აღმოჩნდა. დასაჭერად ბოქაული პლეჩკო მეორე სახლში ავიდა და იქიდან შეშლილის დაჭრა უნდოდა, მაგრამ დომბსკიმ თვით ბოქაული ორგან დასჭრა. შეშლილმა ფანჯრები და კარები ცხრილივით დახვრიტა და ტყვიით მთელ ქუჩაზე ფარნები ჩააქრო. ბოლოს დომბსკი მხარში დასჭრეს და შეიპყრეს. შეშლილის სადგომში მრავალი ტყვია-წამალი და იარაღი იპოვეს. შეშლილ დომბსკის ეგონა, ავსტრიის იმპერატორი ვარო და ჩეხებს ჩემი მოკვლა უნდათო. („ნოვ.“)

# თეატრი

**ქუთაისი.** 8 თებერვალს ქუთათურ თეატრში ვლადიმერ მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა შექსპირის დრამა „ვენეციელი ვაჭარი“. წარმოდგენამ ისე ვერ ჩაიარა, როგორც ეკადრებოდა ღირსეულ მობენეფისეს: რაღაც სიცოცხლე, სითბო აკლდა და საზოგადოების ყურადღებას ჯეროვანად ვერ იპყრობდა. შემრცხვენია, რომ ამის უმთავრეს მიზეზად ეხლაც მსახიობთა მიერ როლების უცოდინარობა უნდა დავასახელო, მაგრამ ჩვენს მსახიობთ რომ არა რცხვენიათ და თავისს ჩვეულებრივს სიზარმაცეს კვლავ განაგრძობენ, რასაკვირველია! ბ-ნმა მესხიშვილმა, მართალია, როლიც იცოდა, შესანიშნავის სინამდვილითაც ასრულებდა სისხლისმწოველის გულქვა შეილოკის როლს: კარგი იყო, მაგალითად, ის გულის შემზარავი სცენა, როდესაც შეილოკი გულმოდგინეთ დანას პირს უბასრავს წაღის ყელზე, ან-როდესაც თავის მსხვერპლს ანტონიოს დააჩერს გულზე, რომ იქიდან ერთი გირვანქა ხორცი ამოსჭრას, მაგრამ რა უნდა ჰქმნას ერთმა მშენებელმა იქ, სადაც ხუთი და ათი მნგრეველია! სწორედ უკანასკნელთა როლს ასრულებდნენ: ბ-ნი აბულაძე—მაროკელი პრინცი,—რომელიც სრულიად უგრძნობლად, სხაპა-სხუპით ისროდა სიტყვებს, მხოლოდ ნახევარ ნახევარს კი ყლაპავდა; ოქროყუთის წარწერას კითხულობდა და ტყვიისას დასჩერებოდა; ბ-ნი ბოჭორიშვილი (გრატიანო), რომელიც, მდიდრული ტანისამოსი რომ არ ცმოდა, ქუთათურ „ურიის ჭონტოლს“ მოგვაგონებდათ თავისი მიხვრა-მოხვრათა და ხმით; ქ-ნი ყიფიანი—ნერისსა, პორციას მოახლე—თავის მიმძინებელ კილოთი და უსიცოცხლო მიხვრა-მოხვრით; ბ-ნნი ზარდალიშვილი ხოდნიო, ბოთლიაშვილი—გობბო და სხვანი, რომელთაგან ზოგი უგულო ხარივით სხვას უგერებდა ბუზებს: თავის სათქმელი ავიწყდებოდა და სხვისას კი ამბობდა. ქ-ნი მდივანიც ვერ იყო კარგი პორცია: არც როლი იცოდა კარგად და არც ჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობოდა; კაცი იფიქრებდა, ძალდატანებით გამოუყვანიათ სცენაზე და ათამაშებენო. კარგი არაგონელი პრინცი იყო ბ-ნი ბალახჩივაძე, მხოლოდ როგორც პრინცს, მეტი სიდინჯე კი უნდა ჰქონებოდა. ბ-ნი თუთბერიძე (ანტონიოს) კარგი სანახავი იყო მეოთხე მოქმედებაში, როდესაც გაფითრებული, გულგადეღილი შეჰყურებს შეილოკის მობასრულ დანას. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. მობენეფისეს მხოლოდ ერთი ვერცხლის საწუმწუმე და ერთი დაფნის გვირგვინი მიართვეს.

**დონ-ვალიანი**

გუშინ გაგზავნილ დეპეშაზე თავ. სუმბათაშვილისაგან ჩვენს რედაქციას შემდეგი პასუხი მოუვიდა დეპეშითვე: „მძიმე დრომ მაიძულა მეთხოვა ჩემს თანამოკალმეებისათვის სხვა დროისთვის გადაედოთ დღესასწაული. მაგრამ თქვენმა სალამმა და მშობლიურმა ალერსმა ღირსეულად დააჯილდოვეს თქვენი მადლობელი თანამემამულე“.

ქართველი არტისტები ამ დიდმარხვაში, როგორც გავიგეთ, ნ. ი. ალექსი-მესხიშვილის თაოსნობით გამართვენ რამდენსამე წარმოდგენას ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ბაქოსა და კავკავში. დასში იქნებიან: ქ-ნნი მ. საფაროვ-აბაშიძე, ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ანასტასია აბაშიძე, ბ-ნნი ვლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ჭ. ყიფიანი და სხვანი.

# წერილი ოდესიდან

ქართული სახალხო წარმოდგენები

მკითხველს, ალბად, მოეხსენება, რომ ოდესსას, როგორც შავი-ზღვის სხვა ბოდაზებსაც, დიდძალი ხელ-მოკლე ქართველობა აწყდება ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ან კი სხვა რა ღონე აქვთ, რომ არ გავიდ-გამოვიდნენ: ცხოვრების მოთხოვნილებანი დღითი-დღე მრავლდება და რთულდება, ადგილ-მამულის სიმცირე და სიძვირე ხომ საარაკო გახდა ჩვენში. როგორც მოგეხსენებათ, სოფლის მამული დღიური ანუ ქცევა, ე. ი. ცოტა მეტი დესეტინის ერთ მესამედისა 1,000 მანეთობით ფასობს, რაჭას, იმერეთს, გურია-სამეგრელოს და ზოგ სხვა კუთხეშიაც ეს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. თუ ამ რამდენისამე წლის წინად გაკვირვებით ჰკითხავდნენ ერთმანერთს,—კაცო, გაიგე, ამასა და ამას 900—1000 მანათად უყიდნია ამა და ამისაგან ერთი დღიური მიწაო,—ახლა გაკვირვების მაგივრად დამშვიდებით მიუგებს ხოლმე მოსაუბრე,—ეგ კიდევ არაფერი, აი, ჩემმა მეზობელმა 1200 მან. მისცა დღიურშიო. ყველა ამის გამო ჩვენი ხალხი იძულებული ხდება შორეულ რუსეთად გადმოიხვეწოს ორიოდ ფარის მესაძენად და რამდენისამე წლობით მოჰშორდეს ოჯახობასა და სამშობლოს. ცხადია, ყველასათვის სამძიმოა უცხო ხალხსა და ქვეყანაში ყოფნა, მაგრამ ერთი-ორად და ერთი სამად უფრო ძნელი და აუტანელია მათთვის, რომელთაც სრულიად არა გაეგებათ-რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაურ მკვიდრისა და ადგილობრივ ცხოვრების პირობებისა. თუ გამოცდილი და შეჩვეული კაციც კი ობლადა ჰგრძნობს თავის თავს უცხოეთში, რასღა უნდა გრძნობდეს ის მუშა, რომელიც წლითი-წლობამდე მზესაც კი ვერ ტუობილობს სამშობლოდან? სწორედ ამ მდგომარეობაში არიან დღეს ის მუშები, რომელნიც ოდესსას შემოხიზნებიან. ამიტომ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის სასიხარულო მოვლენა, რომ აქაურ მოსწავლე ახალგაზრდობას განუზრახავს მცირეოდენი ზნეობრივ და გონებრივი შემწეობა მაინც აღმოუჩინოს ბედისაგან დაჩაგრულ თანამოძმეთ. აგერ ორ თვეზედ მეტია, რაც შესდგა სცენის მოყვარულთა გუნდი, აიღო მთავრობისაგან ნება-რთვა და შეუდგა ქართველ მუშათათვის იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვას (ორ კვირაში ერთხელ). მრავალი მოულოდნელი და მოსალოდნელი დაბრკოლება უშლიდა ხელს, მაგრამ ყველაფერსა სძლიეს და დიად ჩინებულად დააყენეს საქმე. სათეატრო დარბაზი ისეა ხოლმე გაჭედილი ხალხით, რომ ნემსი არსად ჩავარდება. უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა კვირას, 25-ს იანვარს. წარმოადგინეს „პატარა კახი“ აკაკისა. რასაკვირველია, როგორც სცენის გარეგნობა, ისე ნაცმულობა და თვით თამაშიც, ცოტა არ იყოს, სუსტობდა, მაგრამ მაყურებელნი მაინც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. ჩვენ-კი პირადად იმ აზრისა ვართ, რომ ამ საქმის ხელმძღვანელნი უნდა ერიდნენ ისეთ პიესების არჩევას, რომელთათვისაც არც ძალ-ღონე შესწევთ და არც გარემოება უწყობთ ხელს. დრამების დადგმა, ჩვენის ფიქრით, მეტად სამძიმოა სრულიად გამოუცდელ სცენის მოყვარეთათვის. ამიტომ იყო, რომ კვირას ზოგიერთი საგულისხმო ადგილი პიესისა სრულიად გაუგებელი დარჩა მაყურებელთათვის,—სიბრალულის აღმძვრელი ადგილები სიცილ-ხარხარს იწვევდა. ამიტომ, ჩვენა ვგონებთ, ბევრად უმჯობესი იქნება, თუ პატივცემულნი მუშაკნი უფრო ადვილ პიესებს აირჩევენ ხოლმე, შინაარსიან კომედიებს, რასაც ბევრად უკეთ შეასრულებენ და უფრო ძლიერ შთაბეჭდილებასაც მოახდენენ მაყურებლებზედ. თუ ინებებენ და მიჰმართავენ ჩვენს დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს, იმედია, კომიტეტი არ დაიზარებს და მოაწვდის საჭირო ცნობებს, რომლითაც შეეძლებათ იხელმძღვანელონ მომავალში. დასასრულ სულითა და გულით ვუსურვებთ მხნეობასა და წარმატებას ამ კეთილ საქმის მოთავეთ.

**გ.—ელი**

## დაბა-სოფლები

**ახალ-სენაკი** (სამეგრელო). 6 თებერვალს ახალ-სენაკის საეკკლესიო სამრევლო სკოლაში გამართულ იქმნა სალიტერატურო საღამო. მოსწავლეებმა წაიკითხეს რუსულ-ქართული ლექსები. კარგად და მკაფიოდ ამბობდნენ ლექსებს. დასასრულ, დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათები. სკოლის ვეებერთელა შენობა გაჭედილი იყო როგორც მოსწავლეების მშობლებით, ისე ადგილობრივ მცხოვრებით. საღამომ საზოგადოდ კარგა ჩაიარა. იმედია, ამ გვარ მოსწავლეთა გამავარჯიშებელს საქმეს შემდეგშიაც ხშირ-ხშირად გამართვენ და მით გაახარებენ და წააქეზებენ მოსწავლეთა გულს.

**ტრიფონ კალანდარიშვილი**

**საგარეჯო** (გარედ-კახეთი). კვირას, 8 თებერვალს, მოხდა საგარეჯოს სოფლის საზოგადოების ყრილობა იმ საგანზე მოსალაპარაკებლად, რომ გამოელოთ საჭირო ფული საგარეჯოს ხევის გასამაგრებლად. საგარეჯოს ჩამოუდის ხევი, რომელიც ყოველ წელიწადს მცხოვრებთ დიდ ზარალს აყენებს. წყალდიდობის დროს ზოგს სახლ-კარი ენგრევა, ზოგს ვენახები ერიყება და სხვ. საზოგადო ყრილობამ განიხილა ტეხნიკოსის მიერ შემუშავებული გეგმა, თუ როგორ უნდა გამაგრდეს ხევი და რამდენი ფული იქნება საჭირო ამისათვის. ყრილობამ მოიწონა გეგმა და დაადგინა, გადასდოს 5,000 მან. ხევის გასამაგრებლად. ეს ფული უნდა გააწერონ სოფლის მცხოვრებთ შეძლებისა დაგვარად. იმ ადგილას, სადაც ხევი უფრო მეტ ზარალს აყენებს სოფელს, გამართული იქნება წყლის შესამაგრებელი კედელი. რადგან წელს სოფლის საზოგადოებას დიდი ხარჯი ექნება, განზრახვა აქვთ შუამდგომლობა აღძრან უმაღლეს მთავრობის წინაშე, ეპატიოთ ამ წლის გადასახადები.

**დიდი ჯიხაიში** (იმერეთი). ორ წელიწადზედ მეტია, რაც დიდ ჯიხაიშში დიდ ჯიხაიშის საზოგადოებამ, ს. იანეთმა და ჯიქთუბანმა სასოფლო საავადმყოფო დააარსეს. 25 იანვრის საზოგადო კრებაზედ წაკითხულ იქმნა საავადმყოფოს ორი წლის ანგარიში. საავადმყოფოს ინახავს 1500-დე კომლი მცხოვრები ყველა წოდებისა. მოწვეულია ექიმი, ორი ფერშალი და ბებია ქალი. ექიმის ჯამაგირია—1500 მან., ორის ფერშლისა—900 მან., ბებია ქალისა 300 მან., წამლისათვის იხარჯებოდა წლიურად—800 მან., და საავადმყოფოს საჭირო ხარჯებისათვის 350 მან., საკომლო წლიური გადასახადი შემოდის გლეხისაგან—2 მ., 60 კ., და თავად-აზნაურისაგან—3 მ., 60 კ., გარდა ამისა ავადმყოფი ექიმისაგან თითო გასინჯვაზე 10 კ., იხდიდა, რაც ისევ საავადმყოფოს სასარგებლოდ ინახებოდა. ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ 1902 წ. საავადმყოფოს შემოსავალი ყოფილა 3,722 მ., 84 კ., 1903 წ.—4208 მ., სულ შემოსულა ორ წელიწადში 7930 მ., 84 კ., ხარჯი: 1902 წ.—3981 მ., 66 კ.,—1903 წ.—4090 მ., 70 კ., სულ 8072 მ., 36 კ., ედება ვალი 141 მ., 42 კ. საავადმყოფოს სახლისა, აფთექისა და ყოველივე იმის მოწყობილებისათვის დახარჯულა 3199 მ., 63 კ., როგორადაც ხალხს პირველად აღუთქვეს, შენობა საზოგადოებას არ უნდა მოეპოებინა. ხალხი კერძო შემოწირულებით უნდა აშენებულიყო. შენობის ასაგებად ადგილობრივ ბანკს შეუწირავს 1225 მ., კერძო პირებისაგან შესულა 370 მ. 70 კ., სულ 1595 მ. 70 კ. ამ საავადმყოფოს შენობის ვალი აქვს ეხლა 1603 მ. 93 კ. როგორც ორი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, წამლის სასყიდლად გადადებული 800 მანეთი საკმაო არ არის. ხშირად ხალხს წამლის ყიდვა კერძო აფთიაქებში უხდება. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, ზოგიერთების ჩაგონებით, ხალხმა ერთ ხმად იგრიალა: „არ გვინდა საავადმყოფოო!“ ზოგი გაიძახოდა: „წამალი საკმარისად არ გვეძლეოდა, ამიტომ ავადმყოფები გვეხოცებოდნენ. ჩვენ-კი საავადმყოფოს იმედი გვქონდაო“. მზრუნველი ცდილობდა, რომ ხალხი დაეწყნარებია, ურჩევდა, საქმეს ჩაჰკვირვებოდა და აღიარა კიდეც ხალხის წინაშე თავისი და საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიის შეცდომა, რომ წამლისათვის თავიდანვე ცოტა ფული გადავდევითო, ამასთანავე აღუთქვა ხალხს, შენობის ვალის გასასტუმრებელ ფულს საზოგადოებას არ დავავალებთ და წამლისთვისაც მეტს ფულს გადავდებთო, მაგრამ ამაოდ, ხალხი მაინც „არას“ გაიძახოდა და კრებაც დაიშალა. საზოგადოების მიერ არჩეულ კომიტეტის უკანასკნელ კრების დადგენილებით თითო გასინჯვის ფულის—10 კ.—მაგივრად, ავადმყოფი 20 კ. იხდის, რათა ამ რიგად შემოსული ფული წამლის სასყიდლად გადაიდოს და წამლისათვის წლიურად 800 მ. მაგივრად 1200 მ. იხარჯებოდეს. ასეთია ჯერ-ჯერობით საავადმყოფოს მდგომარეობა.

**ბაგე**

**ს. დრანდა** (აფხაზეთი). ამა წლის 25 იანვრისთვის დანიშნული იყო „დრანდის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ წევრთა კრება, მაგრამ, რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, არ შესდგა და 15 თებერვლისათვის გადაიდო. მიკვირს და არ ვიცი, რას მივაწერო ამ საზოგადოების წევრთა საქციელი: ოქტომბრიდან დაწყებული ეს მეოთხეთ ინიშნება კრება და არც ერთხელ არ შესდგა, რადგან წევრები არ მოდიან, ისიც მხოლოდ ერთი მესამედი არის საჭირო, რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს. მართალია, ეს საზოგადოების საქმისადმი გულგრილობა საზოგადო სენად გადაგვექცა ქართველებს, რაიც ჩვენი მოუმზადებლობის ნაყოფია, მაგრამ თავის საწილოდ შემოტანილ ფულის ბედ-იღბალი მაინც რატომ არ აინტერესებს ჩვენის საზოგაგოების წევრთ? რა არის, ერთხელ წელიწადში მაინც დაესწრნნე კრებას და ანგარიში გასინჯონ.

რუსეთ-იაპონიის ომმა დიდად დააშინა სოხუმის ოლქის მცხოვრებნი, მეტად შეშინებულნი არიან აქ ჩამოსახლებულნი რუს-მოლდავან ესტონელნი. ამათ ჯერ არ დავიწყებიათ 1877—8 წლები და ვაი თუ ჩვენი სახლ-კარი და ნაშენ-ნარგავი მიგვატოვებინონო, ამბობენ. ამას წინად თავ. გ. დ. შერვაშიძის მამულის მმართველმა გამოუცხადა მოიჯარადრეებს, დღიდან ეზოს გადასახადი წელიწადში ხუთ-ხუთი მან. უნდა დაგადოთო. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ 20 წელიწადია მამულის მოიჯარადრეთ ეზოს ქირას არ ახდევინებდნენ და მათ შორის დადებულ პირობაშიც არ ეწერა არაფერი ამის მსგავსი. სოფელი სწუხს და იმედოვნებს, რომ თვითონ მამულის პატრონი თავ. გ. დ. შერვაშიძე არ ისურვებს ამ ზედმეტ ხარკის დაკირსებას.

**აქაური**

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 9 თებერვალი

**სოფია.** (ოპოზიციის წრეებიდან) სტამბოლიდან მოსული ცნობები ამტკიცებენ, შემსი-ფაშა დიაკოვოში შევიდაო.—პორტამ ექსარხოსს შეატყობინა, მთავარ ინსპექტორს, ხილმი-ფაშას ბრძანება გავუგზავნეთ, ექსარხოსის თხოვნა დააკმაყოფილე და მასწავლებლები უთავდებოდ გაანთავისუფლეო.

**სტამბოლი.** 8 თებერვალს მოსული ნაწევიჩი ხვალ სასახლეში სულთანს განმარტებას წარუდგენს; განმარტება საზოგადოთ ამბობს, ბოლგარიამ მტკიცედ გადასწყვიტა, მშვიდობიანობა დაიცვას. კარგად მცოდნე წრეებში ამბობენ, ბოლგარიასა და ოსმალეთს შორის წერილობითი შეთანხმება მოხდება და ამის შემდეგ დაპატიმრებულებს გაანთავისუფლებენ და გადახვეწილებს ისევ ძველ ადგილებში დაასახლებენო.

**ჰააგა.** საერთაშორისო სამედიატორო სასამართლომ ვენეცუელის საქმის შესახებ ერთხმად დაადგინა, გერმანიასა, ინგლისს და იტალიას, რომელთ გემებმა ვენეცუელის ქალაქს ალყა შემოარტყეს, განსაკუთრებული უფლება აქვთ ნავთსადგურებ ლაგუაირასა და პუერტო-კაბელოს სატამოჟნო ბაჟის 30 პროცენტი აიღონ. ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებს მიანდეს, ეს დადგენილება სამი თვის განმავლობაში სისრულეში მოიყვანონ.

**ფილადელფია.** ვერფმა, სადაც ოსმალეთის კრეისერი „მეჯიდიე“ შენდება, ბრძანება მიიღო, გემი საჩქაროდ დაამთავრეთო. კრეისერი ოსმალეთში 17 თებერვალს უნდა წავიდეს.

**კიშინევი.** კიშინევში მომხდარ ებრაელთა წინააღმდეგ უწესოების დანარჩენი ხუთი საქმის გარჩევა დაიწყეს. საქმეს არჩევს ოდესის სამოსამართლო პალატის სესია და წოდებათა წარმომადგენელნი.

**ბელგრადი.** ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, რომ სერბიის აფიცერთა საქმე ამ დღეებში ისე გადაწყდება, როგორც ევროპას უნდოდა. ამბობენ, სერბიის ელჩმა, ნოვაკოვიჩმა, რომელიც პეტერბურგს წავიდა, ამის შესახებ რუსეთის მთავრობას უნდა შეატყობინოსო.

### 10 თებერვალი

**პეტერბურგი.** დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს გალკინ-ვრასსკის ორმოც-და-ათი წლის სამსახურისა გამო უმაღლეს რესკრიპტთან ერთად ებოძა სტატსკი-სეკრეტრობა. ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ ინება და ნება დართო, რომ კირილო სერგიევის ურმიის მონასტერი დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულის უავგუსტოესს მფარველობის ქვეშ მიღებულ იქმნას.

**ვენა.** ოსმალეთის ელჩმა განაცხადა, რომ ის ხმები, ვითომ ოსმალეთი ჯარის მობილიზაციას ახდენდეს, სიმართლეს მოკლებულიაო; დიაკოვოში მოძრაობის შესახებ სთქვა, იქ მომხდარი ყველა აღელვება შეჩერებულიაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.)-

**ბორჯომს.** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

**შორაპანამდე:** სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

**შორაპანამდე:** № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

## განცხადებანი

**წითელ ჯვრის სასარგებლოდ**

სომხურ ჟურნალების „აგბიურისა“ და „ტარაზის“ რედაქცია (ოლგას ქუჩა, № 33, სამხედრო სასამართლოს და საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ) ჰმართავს

**ხელოვნურ ნაწარმოებთა**

**გამოფენას**

ოთხშაბათ 11 თებერვლიდან ოთხშაბათ 18 თებერვლამდე, ყოველ დღე შუადღის 12-დან ნაშუადღევის 5-მდე.

**შესვლის ფასი 20 კაპ.; მთელი შემოსავალი წითელ ჯვრის სასარგებლოდ გადაიდება; გაყიდულ სურათებისაგან-კი** 25%.

გამოფენის მნახველთა გვარები „ტარაზ“-ში დაიბეჭდება. (3—1)

**90 კაპ. და 1 მ. 15 კ.**

გირვანქა მოსკოვის გამხმარი

**სოკო**

იყიდება მიხ. ნაზარბეგოვის საწყობში, ქართული თეატრის ქვეშ, ეზოში. იქვე იყიდება საუკეთესო ღირსების **ყავა და კაკაო** ვანგუტენისა, ბლოკერისა და სხვა ფირმებისა (ეს კაკაოები სამარხვო და საყუათო სასმელია), საბერძნეთის ზეთის ხილი, გარჩიცის ზეთი, საუკეთესო ატმის კონსერვები მოტანილი დაღესტნიდან და ერევნიდან. (1—63—1)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს საკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დღეიდან „წერა-კითხვის საზოგადოების“ „კედლის კალენდარი“ და „საქართველოს კალენდარი“ იყიდება ფას-დაკლებით

**კედლის კალენდარი**—55 კაპ.

**საქართველოს კალენდარი**—80 კაპ.

ვინც ორსავე კალენდარს ერთად იყიდის ტფილისში საზოგადოების მაღაზიაში, ორივე კალენდარი დაეთმობა 1 მან. 25 კაპ.

„საქართველოს კალენდარი“. მშვენიერ ყდაში 1 მან. 25 კაპ. (უ. 0—4)

**გამოვიდა და იყიდება**

**საბერძნეთის ძველი ისტორია,**

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუქით. ფასი ერთი მან.

**ცინკოგრაფია**

**წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

**საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე**

**ფარმაცევტთა ამხანაგობისა**

**იყო და არის**

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ აყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს. ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები არა გამოსაჩენ **ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—92)